განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ცვლილებების მიღების საჭიროება განაპირობა იმან, რომ მოქმედი კანონმდებლობით სამართალდამცავ უწყებებს არ აქვთ სამართლებრივი საფუძველი, იმოქმედონ იმ პირების წინააღმდეგ, რომლებიც არაძალადობრივი მეთოდებით ხელს უწყობენ პირის ჩაბმას პროსტიტუციაში, მათ შორის, იმ ბარების, კლუბების თუ სხვა დაწესებულებების წინააღმდეგ, სადაც ადგილი აქვს არაძალადობრივი მეთოდებით ადამიანთა, ზოგიერთ შემთხვევაში კი არასრულწლოვანთა ხელშეწყობას, ჩაებან პროსტიტუციაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ, კლუბის/ბარის მესაკუთრე, მენეჯერი ან მასთან დაკავშირებული სხვა პირი შეიძლება გვევლინებოდეს პროსტიტუციისათვის ხელის შემწყობად, მაგრამ მის მიმართ საგამოძიებო მოქმედებები ვერ იწყება ვერც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს პროსტიტუციაში ჩაბმას ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით (რადგან ამგვარი მეთოდების გამოუყენებლობის შემთხვევაში დანაშაულს ადგილი არ აქვს), და ვერც 254-ე მუხლით, რომელიც დანაშაულად აცხადებს მხოლოდ პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემას (რადგან, შესაძლოა, ასეთი ადგილები არც გამოიყენებოდეს საკუთრივ პროსტიტუციის ადგილად, მაგრამ გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რათა პროსტიტუციაში ჩაბმული პირი და მისი „მომსახურებით“ მოსარგებლე შეხვდნენ ერთმანეთს და შეთანხმდნენ ამგვარ მომსახურებაზე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევის დაძლევა, არასრულწლოვნების პროსტიტუციაში ჩაბმისგან დაცვა და პროსტიტუციისათვის ხელშეწყობის პრევენცია, აგრეთვე შესაბამის დანაშაულთა ზუსტი კვალიფიკაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით შემოთავაზებულია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლს დაერქვას „პროსტიტუციის ხელშეწყობა“ და მის პირველ ნაწილში დანაშაულად გამოცხადდეს „პირის დაყოლიება პროსტიტუციაზე ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის მონაწილეობას პროსტიტუციაში“. ამ მუხლის მე-2 ნაწილში კი დანაშაულად დარჩება ის ქმედება, რომელიც დღეს მოქმედი 254-ე მუხლით ისედაც არის დანაშაულად გამოცხადებული - „პროსტიტუციისთვის ადგილის ან საცხოვრებლის გადაცემა“. ამასთან, ვინაიდან „პროსტიტუციის ხელშეწყობა“ გულისხმობს პირის პროსტიტუციაში ჩაბმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენების გარეშე, იგი ნაწილობრივ იმეორებს 171-ე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსს, რომელიც დანაშაულად აცხადებს არასრულწლოვნის ჩაბმას პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე და ითვალისწინებს შედარებით უფრო მსუბუქ სანქციას. შესაბამისად, კანონპროექტით ხსენებული კოდექსის 171-ე მუხლიდან ხდება მე-3

ნაწილის ამოღება, 254-ე მუხლის მე-3 ნაწილში, სხვა დამამძიმებელ გარემოებებთან ერთად, დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული იქნება ამგვარი ქმედების ჩადენა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 376-ე მუხლში, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნაცვლად, მიეთითება 254-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

იზრდება, ასევე, მოქმედი რედაქციის 253-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელი და 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეიცვლება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. აღნიშნული განაპირობა იმან, რომ 254-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც არაძალადობრივი ქმედებით პროსტიტუციაზე პირის დაყოლიებას გულისხმობს, ითვალისწინებს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ცვლილება შედის, აგრეთვე, კოდექსის 11^1 მუხლშიც, სადაც ფორმულირება „253-ე, 255-ე, 255^1” შეიცვალა ფორმულირებთ - „253-ე-255^1“, რადგან 253-ე მუხლი (პროსტიტუციაში ჩაბმა ძალადობით) და 171-ე მუხლი (არასრულწლოვნის ჩაბმა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში) ოჯახური დანაშაულია, რომლის მე-3 ნაწილმა (არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში არაძალადობრივად) 254-ე მუხლში გადაინაცვლა, რის გამოც არაძალადობრივად პროსტიტუციის ხელშეწყობაც, თუ ის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ არის ჩადენილი, ოჯახური დანაშაული უნდა იყოს.

გარდა აღნიშნულისა, მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 255^1 მუხლი ითვალისწინებს სარგებლის მიღებას არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმისაგან და პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში, ასეთი მასალის გავრცელებაში, რეკლამირებაში ან მისით ვაჭრობაში ჩაბმისაგან. კოდექსის 143^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის ერთ-ერთ ნიშანს „ექსპლუატაციის მიზნით“ გარკვეული ქმედებების განხორციელება წარმოადგენს. იმავე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ასევე ეხება ამავე კოდექსის 143^2 მუხლს (არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი), „ექსპლუატაციად“, სხვა ქმედებებთან ერთად, მიიჩნევს „სარგებლის მიღების მიზნით“ პირის ჩაბმას პროსტიტუციასა და პორნოგრაფიაში. შესაბამისად, კანონპროექტი კოდექსის 253-ე და 255^1 მუხლების დისპოზიციიდან სარგებლის მიღების ელემენტის ამოღებას ითვალისწინებს, ვინაიდან იგი კოდექსის 143^1 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დუბლირებას ახდენდა. აშკარაა, რომ სარგებლის მიღების შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 143^2 მუხლით, რომელიც უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე კოდექსის 253-ე და 255^1 გათვალისწინებული დანაშაული.

მსგავსი მიზეზით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლის მე-2 ნაწილში არსებული სიტყვები „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ იცვლება სიტყვებით „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფი მიერ,“ ვინაიდან კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღებაა, რაც, ასევე, ახდენდა კოდექსის 143^1 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით დადგენილი მიზნის დუბლირებას.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1, 143^2 და 143^3 მუხლები (მოქმედი რედაქციები) დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს მხოლოდ ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ტრეფიკინგს, თუმცა არ იცნობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ ტრეფიკინგს. აღნიშნული კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან

რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად კი მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ორმა პირმა წინასწარი შეთანხმებით მსხვერპლს გაუწია შრომითი ან სექსუალური ხასიათის ექსპლუატაცია, თუმცა მათ ჯგუფს არ ახასიათებდა ის კრიტერიუმები, რასაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისთვის ჯგუფის ორგანიზებულობა მოითხოვს. როდესაც სახეზე გვაქვს წინასწარ შეთანხმებული, მაგრამ არა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ტრეფიკინგის შემთხვევა, პირს ბრალად ერაცხება ქმედება კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილით და არა დამამძიმებელი გარემოებით, რაც, ერთი მხრივ, ხელს უშლის ქმედების სწორ კვალიფიკაციას, მეორე მხრივ კი იწვევს დამნაშავისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებას. ამ მიზნით, კოდექსის 143[1], 143[2] და 143[3] მუხლებს დამამძიმებელ გარემოებად ემატება „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ," რაც ხელს შეუწყობს ტრეფიკინგის შემთხვევის სწორ კვალიფიკაციას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსს ემატება დანაშაულის ახალი შემადგენლობა (254-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც სასჯელის ერთ-ერთ სახეს ითვალისწინებს ჯარიმას. აღნიშნული თანხის წინასწარ განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება დანაშაულის ახალი შემადგენლობა (254-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომელიც სასჯელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, რაც დაკავშირებული იქნება საპატიმრო ხარჯებთან. აღნიშნული თანხის წინასწარ განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც გავრცელდება მისი მოქმედება. კერძოდ, კანონპროექტით გათვალისწინებული კოდექსის 254-ე მუხლის შესაბამისად, სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს ან მოსაკრებელს, თუმცა კოდექსის 254-ე მუხლის შესაბამისად (პროსტიტუციის ხელშეწყობა), სასჯელის ერთ-ერთ სახედ გათვალისწინებულია ჯარიმა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კონსულტაციების შედეგია. ცვლილებები ასევე განხილულ და მოწონებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს 2017 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე, სადაც საბჭოს წევრმა ყველა სამთავრობო უწყებამ, პარტნიორმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.